20410484

 კონფიდენციალური
I კატეგორია
ეგბ.1

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

# განკარგულება

13.03.2025 № 159-1კ

თბილისი

**სს „ჯეოკაპიტალის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412675528) სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის $52^2$ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №218/04 ბრძანებით დამტკიცებული „სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 16 სექტემბრის №235/04 ბრძანების საფუძველზე:

1. სს „ჯეოკაპიტალს“, საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის 20 ოქტომბრის №975-1კ წერილობითი მითითების განმეორებით შეუსრულებლობის გამო, დაეკისროს ფულადი ჯარიმა 5,000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.
2. აღნიშნული თანხა გადახდილ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე - TRESGE22, შემდეგი სახაზინო კოდით 302003260.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ამ განკარგულების იძულებით აღსასრულებლად მიქცევა განხორციელდეს სს „ჯეოკაპიტალისთვის“ განკარგულების გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული 30 კალენდარული დღის განმავლობაში სს „ჯეოკაპიტალი“ ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა და გადახდიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის საშუალებით შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და ატვირთოს გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალების ასლი. NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის საშუალებით შეტყობინების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დაკისრებული ფულადი ჯარიმა არ ჩაითვლება გადახდილად და განხორციელდება მისი იძულებით

აღსასრულებლად მიქცევა. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტს.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ფინანსური და საზედამხედველო
ტექნოლოგიების განვითარების
დეპარტამენტის უფროსი

ვარლამ ებანოიძე